20/05/2026

MES 5 26 0000597164

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 05.05.2026
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 15:34 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. **ლევან შავაძე -** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი -** შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ბონდო გასვიანი -** შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
6. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;

7. თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
8. თეა მჭედლური - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
9. ირინა ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
10. მაქსიმ იავიჩი - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
11. მზია წიკლაური - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
12. ნარგულ ასანიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
13. ქეთევან ნანობაშვილი - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
14. ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
15. ქრისტინე ახალაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
16. ვლადიმერ ადეიშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
1. ანა ჯავახიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
2. ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
შპს საქართველოს უნივერსიტეტი:
"განათლების მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების საკითხი:

1. არჩილ ჯანგირაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. თინა ღუდუშაური - ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი;
3. რევაზ ტაბატაძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

"ინგლისური ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხი:

1. არჩილ ჯანგირაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. თინა ღუდუშაური - ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი;
3. მაია ჩხეიძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს ბრიტანული უნივერსიტეტი:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:
1. ივანე ჯაგოდნიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
2. თალიკო ჟვანია - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი;
3. თინათინ კაიშაური - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
4.მარიამ ჩხაიძე - ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის „კიბერუსაფრთხოება“;
5.იოსებ ქართველიშვილი - ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის „კიბერუსაფრთხოება“;
6. ნინო ლობჟანიძე - შპს ბრიტანული უნივერსიტეტის ბიზნესის და ინოვაციების სკოლის დეკანი, ასოცირებული პროფესორი ნინო ლობჟანიძე;
7. სოფიო მშვიდობაძე - ბრიტანული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

1. მილან პოლი (I საკითხი)
2. თამარ მიქელაძე (I საკითხი)
3. თინათინ გაბრიჩიძე (I საკითხი)
4. ნათია გეგელაშვილი (I საკითხი)
5. ნიჰადა დელიბეგოვიჩ ძანიჩი (II საკითხი)
6. ნინო ჯოჯუა (II საკითხი)
7. მაია ჩქოტუა (II საკითხი)
8. ნინო ტალიკაძე (II საკითხი)
9. ბექა ბენდელიანი (II საკითხი)
10. სეიფედინ კადრი (III საკითხი)
11. მაგდა ცინცაძე (III საკითხი)
12. ლია კურტანიძე (III საკითხი)
13. თამთა ცხოვრებაძე(III საკითხი)
14. თამარ თხელიძე (III საკითხი)

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ბრიტანული უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების" ინგლისურენოვანი ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
√არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ბრიტანული უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების" ინგლისურენოვან ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - განათლების მეცნიერებები
2. **საფეხური** - დოქტორანტურა
3. **სწავლების ენა** - ქართული
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - განათლების მეცნიერების დოქტორი
5. **დეტალური სფეროს კოდი -** 0111 განათლების მეცნიერება
6. **კრედიტების რაოდენობა** - 60
7. **სტატუსი -** ახალი

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - განათლების მეცნიერებები
2. **საფეხური** - დოქტორანტურა
3. **სწავლების ენა** - ინგლისური
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - განათლების მეცნიერების დოქტორი
5. **დეტალური სფეროს კოდი -** 0111 განათლების მეცნიერება
6. **კრედიტების რაოდენობა** - 60
7. **სტატუსი -** ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მილან პოლმა, აღნიშნა, რომ განსახილველ საკითხს წარმოადგენდა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია. მისი განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია და ორივე პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით დადებითად შეაფასა.
მილან პოლმა აღნიშნა, რომ პროგრამები ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს. მისივე შეფასებით, დაწესებულებას აქვს შესაბამისი გამოცდილება და რესურსები, რაც უზრუნველყოფს პროგრამების განხორციელებას. ასევე, ხაზი გაესვა პროგრამებში საერთაშორისო კომპონენტის არსებობას, რაც დადებითად შეფასდა პროგრამების ხარისხთან მიმართებით.
მილან პოლმა აღნიშნა, რომ პროგრამები მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციური კურსდამთავრებულების მომზადებას და სტუდენტებისთვის შესაბამის სფეროში თეორიული და პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას. მისი შეფასებით, პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პერსონალს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, ხოლო პროგრამების კონცეფცია ლოგიკურად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული.
ექსპერტთა ჯგუფის პოზიციით, ორივე პროგრამა შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, რეკომენდაციები არ გაცემულა, თუმცა გაიცა რამდენიმე რჩევა. რჩევები ძირითადად ეხებოდა სწავლის შედეგების შესახებ ინფორმირებულობის გაუმჯობესებას. ასევე, ექსპერტებმა დაწესებულებას შესთავაზეს მობილობის საკითხის განხილვა, ვინაიდან აღნიშნული მიმართულებით შესაძლებელია არსებული მექანიზმების გაძლიერება. გარდა ამისა, ბიუჯეტთან დაკავშირებით დაფიქსირდა მცირე უზუსტობები და გაიცა რჩევა მისი გადახედვის თაობაზე.

საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამები.

უნივერსიტეტების მიერ წარმოდგენილი პოზიცია (წერილის ასლი)

"გვსურს გამოვხატოთ ჩვენი გულწრფელი მადლიერება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიმართ აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული მაღალპროფესიონალური, ორგანიზებული და შედეგზე ორიენტირებული საქმიანობისათვის. ცენტრის მიერ წარმართული პროცესი გამოირჩეოდა გამჭვირვალობით, კონსტრუქციულობითა და აკადემიური სტანდარტებისადმი მაღალი ერთგულებით, რაც მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფასა და განვითარებას ქვეყანაში. ასევე გვსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ თითოეულ ექსპერტს, რომელიც ჩართული იყო სადოქტორო პროგრამების შეფასების პროცესში. მათი პროფესიონალიზმი, სიღრმისეული ანალიზი, ობიექტურობა და პროგრამების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული უკუკავშირი ძალიან ღირებულია. ვაფასებთ ყველა მონაწილე მხარის მიერ გაწეულ შრომას, ჩართულობასა და პასუხისმგებლობას. გვჯერა, რომ აღნიშნული თანამშრომლობა მნიშვნელოვან შედეგებს მოიტანს როგორც ინსტიტუციური განვითარების, ისე განათლების ხარისხის განმტკიცების მიმართულებით. იმედს გამოვთქვამთ, რომ მომავალშიც გაგრძელდება ნაყოფიერი, კონსტრუქციული და პროფესიულ ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობა."

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქეთევან აფთარაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს ინგლისურენოვან პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობად მითითებული იყო ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე და დაინტერესდა, რამდენად საკმარისი იყო აღნიშნული დონე სადოქტორო პროგრამის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ექსპერტმა თამარ მიქელაძემ აღნიშნა, რომ პროგრამაში მითითებულია ინგლისური ენის ცოდნის C1 დონე, რაც ადასტურებს კანდიდატის შესაძლებლობას, სადისერტაციო ნაშრომი ინგლისურ ენაზე შეასრულოს. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დაადასტურა, რომ ინგლისურენოვან პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ინგლისური ენის ცოდნა C1 დონეზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა, რევაზ ტაბატაძემ დაადასტურა, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არის C1 დონე.

საბჭოს წევრმა, ვლადიმერ ადეიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს პროგრამის სპეციალიზაციის მიმართულებებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ პროგრამა მოიცავს ორ მოდულს, ხოლო პროგრამის მიზნებში მითითებულია, რომ სადოქტორო კვლევა შესაძლოა განხორციელდეს ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა განათლების პოლიტიკა და ადმინისტრირება, თანამედროვე პედაგოგიკის აქტუალური საკითხები, განათლების სამართლებრივი ასპექტები, ფილოსოფია, სოციოლოგია და სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი დაინტერესდა, ექნება თუ არა დოქტორანტს შესაძლებლობა, განახორციელოს კვლევა, მაგალითად, მათემატიკის ან ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკის მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა მოიცავს ორ მოდულს: განათლების ადმინისტრირებასა და მენეჯმენტს, ასევე განათლების პედაგოგიკას. ამასთან, პროგრამაში სავალდებულო კომპონენტად ინტეგრირებულია კურსი, რომელიც მოიცავს განათლების სფეროს აქტუალურ საკითხებსა და პარადიგმებს და უფრო ფართო, ზოგად კონტექსტს ქმნის სადოქტორო კვლევისათვის. მისი განმარტებით, მიღების პროცესში დაწესებულება წინასწარ, სამი თვით ადრე, აცხადებს კონკრეტულ კვლევით თემატიკებს,

რომლებიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. შესაბამისად, დოქტორანტს შეუძლია, აღნიშნული ფართო თემატური მიმართულებების ფარგლებში შეიმუშაოს კონკრეტული კვლევითი თემა და წარადგინოს იგი.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი თანამშრომლობს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლასთან, მათ შორის მასწავლებლის მომზადების პროგრამებისა და განათლების ადმინისტრირების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამების ფარგლებში. აღნიშნული თანამშრომლობის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, დოქტორანტს შესაძლებელია დაენიშნოს შესაბამისი მიმართულების თანახელმძღვანელი. მისი განმარტებით, ამ მიმართულებით უზრუნველყოფილია პროცესის გამჭვირვალობა.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო დაცვამდე სავალდებულოა წინასწარი დაცვის ეტაპის გავლა, რომლის ფარგლებშიც ინიშნება შემფასებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი დაინტერესდა, წინასწარი დაცვისა და საბოლოო დაცვის ეტაპებზე ერთი და იგივე პირი მონაწილეობს შეფასების პროცესში თუ ინიშნებიან სხვადასხვა შემფასებლები. ასევე, დასვა კითხვა, რა პროცედურები ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ წინასწარი დაცვის ეტაპზე ნაშრომი უარყოფითად შეფასდება.
დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურა რამდენიმე ეტაპად ხორციელდება. თავდაპირველად დოქტორანტი ნაშრომს წარადგენს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წინაშე. საბჭო წინასწარი დაცვის ეტაპამდე ამოწმებს, აქვს თუ არა დოქტორანტს შესრულებული ყველა სავალდებულო აქტივობა, რის შემდეგაც იღებს გადაწყვეტილებას წინასწარ დაცვაზე დაშვების შესახებ.
მისივე განმარტებით, წინასწარი დაცვის ეტაპზე, სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოსთან ერთად, პროცესში მონაწილეობს ორი ექსპერტი. თუმცა, საბოლოო დაცვის ეტაპზე შემფასებელთა შემადგენლობა იცვლება, რაც უზრუნველყოფს ნაშრომის დამატებით და დამოუკიდებელ შეფასებას.
არჩილ ჯანგირაშვილმა, ასევე, აღნიშნა, რომ შიდა დაცვის ეტაპზე ხდება შიდა ოპონენტების შერჩევა, ხოლო საბოლოო დაცვის ეტაპზე ინიშნება სხვა ექსპერტი/ოპონენტი, რომლის ვინაობა დოქტორანტისთვის წინასწარ ცნობილი არ არის. ერთ-ერთი ოპონენტის უარყოფითი შეფასება გავლენას ახდენს საერთო ქულაზე. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი ვერ დააკმაყოფილებს დადგენილ ზღვარს, ნაშრომი საბოლოოდ უარყოფითად ფასდება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:24
დასრულების დრო: 14:31

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - 2032 წლის 01 სექტემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2032 წლის 01 სექტემბრამდე.

1. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები.
2. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.
3. დაწესებულების მიერ გასათვალისწინებელი იქნება ასევე, საბჭოს მიერ განხორციელებული ცვლილებები აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებსა და რჩევებში.
4. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - 2032 წლის 01 სექტემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 სექტემბრამდე.

1. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები.
2. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.
3. დაწესებულების მიერ გასათვალისწინებელი იქნება ასევე, საბჭოს მიერ განხორციელებული ცვლილებები აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებსა და რჩევებში.
4. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

2. მეორე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - ინგლისური ფილოლოგია
2. **საფეხური** - მაგისტრატურა
3. **სწავლების ენა** - ინგლისური
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი
5. **დეტალური სფეროს კოდი -** 0231 ენის დაუფლება
6. **კრედიტი** - 120
7. **სტატუსი -** აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მე-2 საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

თარჯიმანმა ნინო მირაზანაშვილმა, საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნიჰადა დელიბეგოვიჩ ძანიჩის პოზიცია.
წარდგენილი პოზიციის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 6 მარტს, რომელსაც წინ უძღოდა 2 მარტს გამართული წინამოსამზადებელი შეხვედრა ექსპერტთა ჯგუფსა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელს შორის. აღინიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს პროცესის განმავლობაში სრულად ჰქონდა უზრუნველყოფილი ინსტიტუციური და ლოგისტიკური მხარდაჭერა, მათ შორის, ვიზიტის დროს სრულყოფილი თარგმანი. ექსპერტთა ჯგუფმა მადლიერება გამოხატა პროცესში ჩართული ყველა მხარის მიმართ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის პოზიციის თანახმად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ჩამოყალიბდა ერთობლივად კონსენსუსის საფუძველზე. საქართველოს უნივერსიტეტს გაეგზავნა დასკვნის პროექტი, რის შემდეგაც დაწესებულებამ წარმოადგინა დეტალური არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. აღნიშნული პოზიციისა და ექსპერტთა ჯგუფის შეფასების საფუძველზე ჩამოყალიბდა რამდენიმე რეკომენდაცია პროგრამის დიზაინის, განხორციელებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან მიმართებით.
წარდგენილი პოზიციის თანახმად, ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულებამ რეკომენდაციების უმეტესობა გაიზიარა და გამოხატა უწყვეტი გაუმჯობესების მზაობა. კერძოდ, უნივერსიტეტი დაეთანხმა რეკომენდაციებს, რომლებიც უკავშირდება პერსონალის კომპეტენციების გაძლიერებას სწავლის შედეგების დაგეგმვის, გაზომვისა და ანალიზის მიმართულებით. დაწესებულების პოზიციის თანახმად, უკვე არსებობს სტრუქტურირებული და მიმდინარე ტრენინგები, რომლებიც მხარდაჭერილია ციფრული შეფასების პლატფორმითა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებული უწყვეტი პროფესიული განვითარების აქტივობებით. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული ძალისხმევა დადებითად შეაფასა, თუმცა კვლავ გაუსვა ხაზი მსგავსი ტრენინგების პერსონალის განვითარების სავალდებულო და რეგულარულ კომპონენტად ფორმალიზების მნიშვნელობას.
ECTS კრედიტების განაწილების გადახედვასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა ძალაში დატოვა რეკომენდაცია არჩევითი კომპონენტის გაფართოების თაობაზე, სასწავლო გეგმის მოქნილობის გაზრდისა და სტუდენტების ინდივიდუალური აკადემიური ინტერესების ხელშეწყობის მიზნით. აღინიშნა, რომ დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას არ დაეთანხმა და მიუთითა რომ არსებული განაწილება უზრუნველყოფს დაბალანსებულ სასწავლო დატვირთვას, პროგრამის თანმიმდევრულობასა და სავალდებულო და არჩევითი კურსებისადმი თანაბარ მიდგომას. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა დაწესებულების პოზიცია, თუმცა კვლავ მიიჩნია, რომ არჩევითი კრედიტების შეზღუდული რაოდენობა ზღუდავს სპეციალიზაციის შესაძლებლობებსა და სტუდენტების კვლევით ინტერესებთან პროგრამის შესაბამისობას. ამასთან, დაწესებულებამ აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი შესაძლოა განხილულ იქნეს პროგრამის სამომავლო განვითარების პროცესში.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის პოზიციის თანახმად, დაწესებულება დაეთანხმა რეკომენდაციას კონკრეტული სასწავლო კურსებისთვის ECTS კრედიტების განაწილების გადახედვის შესახებ. უნივერსიტეტმა დაგეგმილი 1+1 პროგრამის სტრუქტურის ფარგლებში წარმოადგინა კონკრეტული ცვლილებები, რომლებიც მოიცავს „კვლევის მეთოდები ლინგვისტიკაში“ სასწავლო კურსისთვის კრედიტების რაოდენობის გაზრდას, ასევე „ბიზნეს კომუნიკაციის“ კურსის დატვირთვისა და შეფასების კომპონენტების კორექტირებას. აღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავს სწავლის შედეგებთან უკეთესი შესაბამისობისა და სტუდენტების დაბალანსებული დატვირთვის უზრუნველყოფას. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული ცვლილებები დადებითად შეაფასა, ვინაიდან ისინი აძლიერებს პროგრამის კვლევით მიმართულებასა და პედაგოგიურ თანმიმდევრულობას.

ასევე, აღინიშნა, რომ დაწესებულება დაეთანხმა FCE-ის მოთხოვნის, როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობის, გადახედვას და განახორციელა შესაბამისი ცვლილებები საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ენობრივ სტანდარტებთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული შეაფასა, როგორც კონსტრუქციული ნაბიჯი პროგრამაზე დაშვების კრიტერიუმების გამჭვირვალობისა და შესაბამისობის გაუმჯობესების მიმართულებით.
შეფასების პრაქტიკასთან დაკავშირებით, წარდგენილი პოზიციის თანახმად, დაწესებულება დაეთანხმა რეკომენდაციას შეფასების კომპონენტებისა და რუბრიკების სტრუქტურისა და სიცხადის გაუმჯობესების თაობაზე. დაგეგმილი ცვლილებები მიზნად ისახავს შეფასების უფრო გამჭვირვალე კრიტერიუმების უზრუნველყოფას, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის თანმიმდევრულობას და სტუდენტებს დაეხმარება აკადემიური მოლოდინების უკეთ გააზრებაში. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული გაუმჯობესებები ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების დახვეწას.
საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ რეკომენდაციების გათვალისწინების პროცესში გამოავლინა აქტიური ჩართულობა და ხარისხის გაუმჯობესებისადმი მზაობა. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის პოზიციით, გარკვეული რეკომენდაციები, განსაკუთრებით სასწავლო გეგმის მოქნილობასა და არჩევითი კურსების განაწილებასთან დაკავშირებული საკითხები, ძალაში რჩება. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას მოუწოდა, გააგრძელოს მუშაობა პროგრამის დიზაინის, სწავლის შედეგებისა და სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პრინციპების ურთიერთშესაბამისობის გაძლიერების მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ექსპერტთა ჯგუფს გაწეული საქმიანობისა და წარმოდგენილი შეფასებებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს. იგი დაინტერესდა, კონკრეტულად რა ტიპის პრობლემატიკა გამოიკვეთა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით რომ დადგა სპეციალური სასწავლო პროგრამის დამტკიცების საჭიროება. ასევე, მან დასვა კითხვა, არსებობს თუ არა დაწესებულებაში მსგავსი შინაარსის სავალდებულო კომპონენტი სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში და როგორ ხედავს დაწესებულება აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების შესაძლებლობას განსახილველ პროგრამასთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო ტალიკაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიმართულებით მრავალმხრივ აქტივობებს ახორციელებს. მისი განმარტებით, დასკვნაში ყურადღება გამახვილდა წინა წლების გამოცდილებაზე, თუმცა ექსპერტებისთვის მნიშვნელოვანი იყო, მიმდინარე პერიოდში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, უფრო მკაფიოდ წარმოჩენილიყო, როგორ ფასდება წარმოდგენილი ახალი პროგრამის ფარგლებში თითოეული სასწავლო კურსის შედეგი და როგორ ხდება აღნიშნული შედეგების დაკავშირება შესაბამის სასწავლო კურსებთან. მისივე განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიზანი იყო, დაწესებულებას უფრო გაღრმავებულად წარმოეჩინა, თუ როგორ უზრუნველყოფს ხარისხის მიმართულებით მიმდინარე საქმიანობა სასწავლო კურსების შედეგების შეფასებასა და მათ შესაბამისობას პროგრამის სწავლის შედეგებთან.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, აღნიშნა, რომ დასკვნაში წარმოდგენილი ინფორმაცია არ ეხება მხოლოდ წინა წლების გამოცდილებას. მისი განმარტებით, უნივერსიტეტებში ხელოვნური ინტელექტის აქტიური იმპლემენტაცია ბოლო წლებში დაიწყო და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აღნიშნული მიმართულებით აქტიურად მუშაობს.
არჩილ ჯანგირაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტთა დასკვნაში აქცენტი გაკეთებულია ამ პროცესის უწყვეტად განხორციელების საჭიროებაზე. დაწესებულების პოზიციით, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პასუხში აღწერილი საქმიანობა სისტემურ და რეგულარულ ხასიათს ატარებს. მისი თქმით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ცენტრალიზებულად ახორციელებს აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების გადამზადებას მეთოდოლოგიური მიმართულებით, რაც ხელს უწყობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მიდგომების შესახებ მათი ცოდნის გაღრმავებას.
მან ასევე აღნიშნა, რომ წინა წლების გამოცდილებიდან შეიძლება გამოიყოს 2016-2017 წლების Erasmus-ის პროექტი, რომლის საფუძველზეც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფარგლებში ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი სტრუქტურა. მისი განმარტებით, 2017-2019 წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა პროგრამაზე დაფუძნებულ სწავლებას, პროექტულ სწავლებასა და საკითხზე დაფუძნებულ სწავლებას, ხოლო მიმდინარე ეტაპზე განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირების საკითხმა. ამასთან, უნივერსიტეტში მიმდინარეობს დიგიტალიზაციის პროცესის სრულად დანერგვა.
არჩილ ჯანგირაშვილმა დაამატა რომ პირდაპირი შეფასების მეთოდი გულისხმობს ლექტორის მიერ განსაზღვრული შეფასების საკითხის დაკავშირებას სილაბუსში მითითებულ სწავლის შედეგთან, რაც მუდმივ პროცესს წარმოადგენს. მისი განმარტებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლი აღნიშნულ პროცესში არის პროცესების სრული კოორდინაცია და მათი ტექნოლოგიური დახვეწა.
მან ასევე აღნიშნა რომ პროგრამის განახლებული ვერსია მუდმივად განიხილება პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან ერთად.
ირინა ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ რეკომენდაცია ითვალისწინებს სავალდებულო ციკლური კომპონენტის/პროგრამის დანერგვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი დაინტერესდა, როგორ ხედავს დაწესებულება აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების შესაძლებლობას და რა ფორმით იგეგმება მისი განხორციელება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები იყო ცხადი, მკაფიო და პროგნოზირებადი. მისი განმარტებით, აღნიშნული რეკომენდაცია უშუალოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობას არ გულისხმობდა და უფრო მეტად უკავშირდებოდა უნივერსიტეტის პლატფორმის გამოყენებასა და შესაბამისი პროცესების უკეთ წარმოჩენას.
მისივე განმარტებით, რეკომენდაციის საფუძველი გახდა შეუსაბამობა დაწესებულებაში ყოველდღიურად განხორციელებულ საქმიანობასა და აღნიშნული საქმიანობის პრეზენტირების ფორმას შორის. დაწესებულების წარმომადგენლის შეფასებით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ლოგიკურია და გამომდინარეობს პანელის მიერ ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციიდან.
რაც შეეხება დაგეგმილ ტრენინგებს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განსაზღვრულია ოთხი ძირითადი მიმართულება: სწავლის შედეგების ფორმულირება, ბლუმის ტაქსონომიის გაზომვადი ზმნების გამოყენების სპეციფიკა, სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების კორელაცია, ასევე შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებული საკითხები. მისი განმარტებით, აღნიშნული მიმართულებებით მუშაობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუდმივი საქმიანობის ნაწილია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო ტალიკაძემ, აღნიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია უშუალოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს არ ეხებოდა. მისი განმარტებით, ლექტორებთან გასაუბრებისას დადასტურდა სწორედ ის გარემოება, რის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული რეკომენდაცია გასცა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:54
დასრულების დრო: 15:04

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - 2030 წლის 01 მაისამდე, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2030 წლის 01 მაისამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

1. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები.
2. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.
3. დაწესებულების მიერ გასათვალისწინებელი იქნება ასევე, საბჭოს მიერ განხორციელებული ცვლილებები აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებსა და რჩევებში.
4. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და განახორციელა შემდეგი ცვლილებები:

1. **1.5 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია:** „რეკომენდებულია, პროგრამაში გადაიხედოს კრედიტების განაწილება, როგორც ეს ხაზგასმულია 1.4 კომპონენტში.“ საბჭომ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება 1.5 ქვეკომპონენტში არსებული რეკომენდაციის მოხსნის შესახებ. აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია კომპონენტის შეფასების ცვლილება და 1.5. ქვეკომპონენტი ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც "შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". ამ ცვლილებას არ გამოუწვევია მთლიანად პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.
2. **4.3 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია:** „რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ ოფიციალურად დაამტკიცოს სპეციალური, სტრუქტურირებული სასწავლო პროგრამა, რომელიც სპეციალურად მიმართული იქნება პერსონალის კომპეტენციების გაუმჯობესებაზე, სწავლის შედეგების დიზაინის, გაზომვისა და ანალიზის მიმართულებით. პროგრამა უნდა განხორციელდეს როგორც პერსონალის პროფესიული განვითარების წლიური კალენდრის სავალდებულო და ციკლური კომპონენტი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა პერსონალისთვის.“ **გადავიდა რჩევაში შემდეგი სახით** - "სასურველია რომ დაწესებულებამ ოფიციალურად დაამტკიცოს სპეციალური, სტრუქტურირებული სასწავლო პროგრამა, რომელიც სპეციალურად მიმართული იქნება პერსონალის კომპეტენციების გაუმჯობესებაზე, სწავლის შედეგების დიზაინის, გაზომვისა და ანალიზის მიმართულებით. პროგრამა უნდა განხორციელდეს როგორც პერსონალის პროფესიული განვითარების წლიური კალენდრის სავალდებულო და ციკლური კომპონენტი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა პერსონალისთვის.“ აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია კომპონენტის შეფასების ცვლილება და 4.3 კომპონენტი ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც "შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". ამ ცვლილებას არ გამოუწვევია მთლიანად მეოთხე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

3. მესამე საკითხი: შპს ბრიტანული უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების" ინგლისურენოვანი ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - კიბერუსაფრთხოება
2. **საფეხური** - მაგისტრატურა
3. **სწავლების ენა** - ინგლისური
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - კიბერუსაფრთხოების მაგისტრი
5. **დეტალური სფეროს კოდი -** 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
6. **კრედიტი** - 120
7. **სტატუსი -** ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა დავით კაპანაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექაპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, სეიფედინ კადრიმ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული პირველი სამი რეკომენდაცია უკავშირდება პროგრამის სწავლის შედეგებს. კერძოდ, კვალიფიკაციის დონესთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია მე-2 და მე-4 სწავლის შედეგების დაკორექტირება და მათი გაზომვადი ფორმით ჩამოყალიბება. ასევე, რეკომენდებულია სწავლის შედეგების ფორმულირების ერთიანი დოკუმენტის შემუშავება. გარდა ამისა, პროგრამაში მკაფიოდ უნდა აისახოს უწყვეტ პროფესიულ განვითარებასთან, ასევე კიბერუსაფრთხოების ცოდნისა და პრაქტიკის გაძლიერებასთან დაკავშირებული ელემენტები, რომლებიც თანამედროვე კიბერუსაფრთხოების განათლების სტანდარტების მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოადგენს.

შემდეგი რეკომენდაცია უკავშირდება 1.3 კომპონენტს, კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს. აღნიშნულთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდებულია თითოეული შესრულების ინდიკატორისთვის რუბრიკის შემუშავება, ამასთან, რუბრიკის ენა უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის შესრულების ინდიკატორს. ასევე, რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს ის სასწავლო კურსები, რომლებიც გამოყენებული იქნება შესრულების ინდიკატორების შეფასების პროცესში. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, შესაბამისი მატრიცა უნდა აისახოს ფაილში „Cyb Map Eng“ - დანართი 1. გარდა ამისა, რეკომენდებულია, რომ ორივე უნივერსიტეტმა გამოიყენოს უნიფიცირებული შეფასების მექანიზმი.

1.4 კომპონენტთან მიმართებით რეკომენდებულია, პროგრამას სავალდებულო სახით დაემატოს შემდეგი თემები: კიბერდანაშაული, კიბერპოლიტიკა და გლობალური კიბერუსაფრთხოების მართვა.

შემდეგი რეკომენდაცია ეხება 2.1 კომპონენტს, კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. ექსპერტთა ჯგუფის პოზიციით, პროგრამაში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს და ფორმალურად აისახოს მისაღები გამოცდისთვის მოთხოვნილი მინიმალური კომპეტენციები, განსაკუთრებით კომპიუტერული მეცნიერებების ისეთ ძირითად სფეროებში, როგორებიცაა პროგრამირება, ოპერაციული სისტემები, კომპიუტერული ქსელები, დისკრეტული მათემატიკა და კიბერუსაფრთხოების საფუძვლები. ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს და ფორმალურად დანერგოს გამაძლიერებელი ან მოსამზადებელი მექანიზმი იმ აპლიკანტებისთვის, რომლებსაც არ აქვთ კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით წინარე ცოდნა.

2.2 კომპონენტთან დაკავშირებით რეკომენდებულია, ფორმალურად დამტკიცდეს და გამოქვეყნდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი და ხელმძღვანელობის სახელმძღვანელო მითითებები. ასევე, რეკომენდებულია პარტნიორ დაწესებულებებს შორის ერთობლივი კვლევის ხელმძღვანელობის მექანიზმის შემუშავება.

რაც შეეხება 3.2 კომპონენტს, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, ერთობლივი სამაგისტრო პროგრამისთვის უნდა შემუშავდეს რეგულაცია, რომელშიც ამომწურავად განისაზღვრება ხელმძღვანელების/თანახელმძღვანელების შერჩევის, დანიშვნისა და შეცვლის პროცედურები, მათი უფლებები და მოვალეობები, ხელმძღვანელსა და სტუდენტს შორის თანაფარდობის განსაზღვრის გამჭვირვალე მეთოდოლოგია და პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისთვის საჭირო სხვა შესაბამისი ასპექტები. ასევე, რეკომენდებულია ხელმძღვანელის მაქსიმალური სამუშაო დატვირთვისა და ხელმძღვანელსა და სტუდენტს შორის თანაფარდობის განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

უნივერსიტეტების მიერ წარმოდგენილი პოზიცია (წერილის ასლი):
"შპს ბრიტანული უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნასთან დაკავშირებით დამატებითი მოსაზრებები:

სტანდარტი 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.
კომპონენტი 1.2 - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია, კვალიფიკაციის დონესთან შესაბამისობის მიზნით, დაკორექტირდეს მე - 2 და მე - 4 სწავლის შედეგი და ჩამოყალიბდეს გაზომვადი სახით.
2. რეკომენდებულია, შემუშავდეს სწავლის შედეგების ფორმულირების ერთიანი დოკუმენტი.
3. რეკომენდებულია, მკაფიოდ აისახოს უწყვეტ პროფესიულ განვითარებასთან და კიბერუსაფრთხოების ცოდნის და პრაქტიკის გაძლიერებასთან დაკავშირებული ელემენტები, რომლებიც წარმოადგენენ თანამედროვე კიბერუსაფრთხოების განათლების სტანდარტების მნიშვნელოვან ასპექტებს.

უნივერსიტეტების პოზიცია:

რეკომენდაცია 1.
მოგახსენებთ, რომ პროგრამის სწავლის შედეგები თავდაპირველად შემუშავდა ინგლისურ ენაზე, სადაც გამოყენებული ზმნები სრულად შეესაბამება ABET-ის სტილსა და მოთხოვნებს. განვმარტავთ, რომ წარმოდგენილი დასკვნის პროექტის ინგლისურ ვერსიაში რეკომენდებული ზმნები (Design, Demonstrate) ზუსტად შეესაბამება პროგრამის ძირითად, ინგლისურ ვერსიაში (წარმოდგენილი პროგრამა ინგლისურენოვანია) წარმოდგენილ ზმნებს. თუმცა, პროგრამის თარგმანში ქართულ ენაზე, მე-2 სწავლის შედეგი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „შეიმუშავებს, ავითარებს და აფასებს ინოვაციურ გადაწყვეტილებებს კიბერუსაფრთხოების კონტექსტში განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილებით“ და მე-4 სწავლის შედეგი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „აღიარებს პროფესიულ პასუხისმგებლობებს და სამართლებრივ და ეთიკურ პრინციპებზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებებს კიბერუსაფრთოების სფეროში”.

რეკომენდაცია 2.

ვიზიარებთ აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციას სწავლის შედეგების ფორმულირების ერთიანი დოკუმენტის შემუშავების შესახებ.

რეკომენდაცია 3.
აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციის გათვალისწინებით მე-6 სწავლის შედეგი ასე ჩამოყალიბდა: „ჩართულია უწყვეტი პროფესიული განვითარების პროცესში, შეძენილი ახალი ცოდნის, უნარების და კიბერუსაფრთხოების უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით ადაპტირდება ცვალებად დარგობრივ საფრთხეებთან“.
შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ქართულად:
1. აანალიზებს კიბერუსაფრთხოების კომპლექსურ პრობლემას და იყენებს კიბერუსაფრთხოების და შესაბამის დარგობრივ პრინციპებს საჭირო გადაწყვეტილებების შემუშავების პროცესში;
2. შეიმუშავებს, ავითარებს და აფასებს ინოვაციურ გადაწყვეტილებებს კიბერუსაფრთხოების კონტექსტში განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილებით;
3. სხვადასხვა პროფესიულ კონტექსტში ახდენს ეფექტურ კომუნიკაციას;
4. აღიარებს პროფესიულ პასუხისმგებლობებს და სამართლებრივ და ეთიკურ პრინციპებზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებებს კიბერუსაფრთოების სფეროში;
5. ეფექტურად მუშაობს როგორც წევრი ან ლიდერი გუნდში, რომელიც წყვეტს კიბერუსაფრთხოების საკითხებს;
6.ჩართულია უწყვეტი პროფესიული განვითარების პროცესში, შეძენილი ახალი ცოდნის, უნარების და კიბერუსაფრთხოების უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით ადაპტირდება ცვალებად დარგობრივ საფრთხეებთან.

კომპონენტი 1.3 - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული შესრულების ინდიკატორისთვის შემუშავდეს რუბრიკა. რუბრიკის ენა უნდა შეესაბამებოდეს შესრულების ინდიკატორს. რეკომენდებულია, მკაფიოდ შეირჩეს სასწავლო კურსები, რომლებიც გამოყენებული იქნება შესრულების ინდიკატორების შეფასებისას. საჭიროა მატრიცა აისახოს ფაილში "Cyb Map Eng" (დანართი 1).
2. რეკომენდებულია, ორივე უნივერსიტეტმა გამოიყენოს უნიფიცირებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

უნივერსიტეტების პოზიცია:
რეკომენდაცია 1
პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ თითოეული სწავლის შედეგი ჩაშლილია შესაბამის შესრულების ინდიკატორებად, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის უფრო მაღალ დეტალიზაციას და სიზუსტეს. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი რუბრიკა, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად მიბმულია სწავლის შედეგებზე, პრაქტიკაში გამოიყენება უშუალოდ შესრულების ინდიკატორების შეფასებისთვის. კერძოდ:

- შესრულების ინდიკატორები წარმოადგენს შეფასების ძირითად ერთეულებს;
- რუბრიკის კრიტერიუმები და დონის აღწერები პირდაპირ ასახავს ინდიკატორების შესრულების ხარისხს;
- სწავლის შედეგების მიღწევა განისაზღვრება უკვე აგრეგირებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, რაც შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას (მათ შორის ABET მიდგომებს).

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ არსებული მიდგომა უზრუნველყოფს შესრულების ინდიკატორებზე დაფუძნებულ შეფასებას, თუმცა, რეკომენდაციის გათვალისწინებით,

პროგრამის განვითარების ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება შესრულების ინდიკატორების დონეზე რუბრიკის დამატებითი დეტალიზაცია.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში სასწავლო კურსების შერჩევა ხდება სპეციალობის ძირითად (core) კურსებიდან, რომლებიც პირდაპირ უზრუნველყოფენ შესაბამისი შესრულების ინდიკატორების მიღწევასა და შეფასებას. შერჩეული სასწავლო კურსების მატრიცა ასახულია ფაილში "Cyb Map Eng" და "Cyb Map Geo" (დანართი 1).

რეკომენდაცია 2
საგანმანათლებლო პროგრამისთვის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ბრიტანულ უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის უკვე შემუშავებულია ერთობლივად, სპეციალურად წარმოდგენილი პროგრამისთვის. აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს უნიფიცირებულ მიდგომას - ერთიანი შეფასების ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს ორივე უნივერსიტეტის მიერ სწავლის შედეგების შეფასების თანმიმდევრულ, გამჭვირვალე და შედარებად განხორციელებას. მისი ფორმირების პროცესში გათვალისწინებული იქნა:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოცდილება ABET აკრედიტაციის მქონე პროგრამებში სწავლის შედეგების შეფასების კუთხით;

- საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკები და ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები;
- ერთობლივი პროგრამის სპეციფიკა და ორმხრივი აკადემიური მოთხოვნები.

შესაბამისად, რეკომენდაციის გათვალისწინებით, შესაბამისმა დოკუმენტმა მიიღო უნიფიცირებული სახე.

კომპონენტი 1.4 - საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი რეკომენდაცია:
1. რეკომენდებულია, პროგრამას სავალდებულო სახით დაემატოს შემდეგი თემები: კიბერდანაშაული, კიბერპოლიტიკა და გლობალური კიბერუსაფრთხოების მართვა.

უნივერსიტეტების პოზიცია:
კიბერდანაშაულის, კიბერპოლიტიკისა და გლობალური კიბერუსაფრთხოების მართვის საკითხები უკვე ინტეგრირებულია პროგრამის სასწავლო კომპონენტებში და წარმოდგენილია როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში. კერძოდ, აღნიშნული თემატიკა ფართოდ არის დაფარული შემდეგ სასწავლო კურსებში:
არჩევითი სასწავლო კურსები:

- „კონტრდაზვერვა და კიბეროპერაციები“
- „კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა და შესაბამისობა“
- „კიბერ ტექნოლოგიები და კიბერ ომი“
- „კიბერ სამართალი და საკომუნიკაციო სტრატეგიის განვითარება“

სავალდებულო სასწავლო კურსები:

- „ციფრული ექსპერტიზა“
- „ციფრული ექსპერტიზა და პროგნოზირებადი ანალიტიკა“

პროგრამა სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას ინდივიდუალური პროფესიული ინტერესებისა შესაბამისად შეარჩიონ სპეციფიკური მიმართულებები, მათ შორის კიბერპოლიტიკის, კიბერდანაშაულისა და გლობალური უსაფრთხოების მართვის სფეროში.

ამასთან, პროგრამის განვითარების ფარგლებში განიხილება აღნიშნული თემატიკის დამატებითი გაძლიერება შესაბამისი სასწავლო კომპონენტების შინაარსობრივი დამატება-დახვეწის გზით.

სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტი 2.1 - პროგრამაზე დაშვების წინაპირობები რეკომენდაციები:
1.რეკომენდებულია, პროგრამაში მკაფიოდ განისაზღვროს და ფორმალურად აისახოს მისაღები გამოცდისთვის მოთხოვნილი წინაპირობის მინიმალური კომპეტენციები, განსაკუთრებით კომპიუტერული მეცნიერებების ისეთ ძირითად სფეროებში, როგორებიცაა პროგრამირება, ოპერაციული სისტემები, კომპიუტერული ქსელები, დისკრეტული მათემატიკა და კიბერუსაფრთხოების საფუძვლები.
2.პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშავოს და ფორმალურად დანერგოს

გამაძლიერებელი ან მოსამზადებელი მექანიზმი იმ აბიტურიენტებისათვის, რომელთაც არ გააჩნიათ კომპიუტერული მეცნიერების წინარე ცოდნა.

უნივერსიტეტის პოზიცია:
კიბერუსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტების რეგულაციების შესაბამისად და მოიცავს როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ შეფასებებს. მიუხედავად იმისა, რომ წინაპირობები შემოფარგლულია STEM სპეციალიზაციით, პროგრამაზე მიღების წინაპირობად განისაზღვრება კანდიდატის საბაზისო კომპეტენციები კომპიუტერული მეცნიერების ძირითად მიმართულებებში, კერძოდ:

- პროგრამირების საფუძვლები;
- ოპერაციული სისტემების ძირითადი პრინციპები;
- კომპიუტერული ქსელების საფუძვლები;
- დისკრეტული მათემატიკის ელემენტები;
- კიბერუსაფრთხოების საბაზისო კონცეფციები.

აღნიშნული კომპეტენციების ფლობა მოწმდება მისაღები გამოცდისა და შესაბამისი შეფასების მექანიზმების საშუალებით, რაც რეკომენდაციის გათვალისწინებით, აისახა პროგრამაში.

რეკომენდაცია 2
მიუხედავად იმისა, რომ არ გვაქვს შესაბამისი ვალდებულება, რეკომენდაციის გათვალისწინებით, პროგრამის განვითარების ფარგლებში აბიტურიენტებისთვის ვგეგმავთ დამატებითი მხარდაჭერის მექანიზმების დანერგვას. კერძოდ:

- მოსამზადებელი (bridging) კურსების შეთავაზება პროგრამის დაწყებამდე;
- ონლაინ სასწავლო რესურსებისა და რეკომენდებული ლიტერატურის მიწოდება;
- საწყისი დიაგნოსტიკური შეფასების საფუძველზე ინდივიდუალური რეკომენდაციების შემუშავება.

კომპონენტი 2.2 - პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, ფორმალურად დამტკიცდეს დაგამოქვეყნდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი და ხელმძღვანელობის სახელმძღვანელო მითითებები.
2. რეკომენდებულია, პარტნიორ დაწესებულებებს შორის შემუშავდეს ერთობლივი კვლევის ხელმძღვანელობის მექანიზმი.

უნივერსიტეტების პოზიცია:
რეკომენდაცია 1
საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესი არ მოითხოვს ცალკე „სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის" არსებობას. აღნიშნული პრაქტიკა უნივერსიტეტში ისტორიულად არ ყოფილა დანერგილი და მსგავსი მოთხოვნა არ დაფიქსირებულა არცერთ წინა აკრედიტაციის პროცესში. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი საკითხი (პროცედურები, მოთხოვნები, შეფასების პრინციპები და აკადემიური პასუხისმგებლობები) სრულად რეგულირდება უნივერსიტეტის შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტებით.
ამასთან, ვიზიარებთ აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციას:

- შემუშავდა სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, რომელიც მოიცავს სწავლის შედეგებს, შეფასების კრიტერიუმებს, კვლევით მოლოდინებსა და პროცესის სტრუქტურას;
- რეკომენდაცია 2-ის შესაბამისად, დეტალიზდება სამეცნიერო ხელმძღვანელობის გზამკვლევი, სადაც აისახება ხელმძღვანელისა და სტუდენტის უფლებები და მოვალეობები, კომუნიკაციის ფორმები და კვლევითი პროცესის ეტაპები; საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ბრიტანულ უნივერსიტეტს შორის შემუშავდება ერთობლივი კვლევის ხელმძღვანელობის მექანიზმების ამსახველი რეგულაციები; დამატებით დაიხვეწება აკადემიური პერსონალის კვლევითი სპეციალიზაციების დაკავშირება სამაგისტრო ნაშრომის თემატურ მიმართულებებთან.

სტანდარტი 3 - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა კომპონენტი 3.2 - მაგისტრანტის ხელმძღვანელობა
რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია, ერთობლივი სამაგისტრო პროგრამისთვის შემუშავდეს რეგულაცია, რომელშიც ამომწურავად იქნება განსაზღვრული ხელმძღვანელების / თანახელმძღვანელების შერჩევის, დანიშვნის და შეცვლის პროცედურები, მათი უფლებები და მოვალეობები, ხელმძღვანელის და სტუდენტის თანაფარდობის განსაზღვრის გამჭვირვალე მეთოდოლოგია და პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის საჭირო ყველა სხვა შესაბამისი ასპექტი.

2. რეკომენდებულია, განისაზღვროს ხელმძღვანელის მაქსიმალური სამუშაო დატვირთვა და ხელმძღვანელის და სტუდენტის თანაფარდობა.
უნივერსიტეტების პოზიცია:
რეკომენდაციები 1 და 2 ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის „კიბერუსაფრთხოება" ფარგლებში წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების სახელმძღვანელოს პროექტი, რომელიც მოიცავს პროგრამის ორგანიზებისა და მართვის ძირითად პრინციპებს, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებულ ზოგად ჩარჩოს. ამ პროექტის წარდგენისას აღინიშნა, რომ ეს არის სახელმძღვანელოს პროექტი - კონცეპტუალური ჩარჩო, და პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში მოხდებოდა მისი დასრულება და დეტალიზაცია ყველა საჭირო მიმართულებით.
აღსანიშნავია, რომ ორივე უნივერსიტეტში მოქმედებს მაგისტრატურის მარეგულირებელი დებულებები, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების შერჩევის, დანიშვნისა და შეცვლის პროცედურები, მათი უფლებები და მოვალეობები, სტუდენტისა და ხელმძღვანელის თანაფარდობის ზოგადი პრინციპები. აღნიშნული საკითხები

დამატებით რეგულირდება აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულებებით, სადაც განსაზღვრულია სამუშაო დატვირთვები და შესაბამისი აკადემიური ვალდებულებები. მიგვაჩნია, რომ პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მარეგულირებელი ჩარჩო უკვე უზრუნველყოფილია და არ წარმოადგენს კრიტიკულ ნაკლოვანებას. ამასთან, ვიზიარებთ აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციას დამატებითი სიცხადისა და გამჭვირვალობის გაზრდის მიმართულებით და ვადასტურებთ, რომ პროგრამის აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში მოხდება წარმოდგენილი სახელმძღვანელოს შემდგომი განვითარება და დეტალიზაცია, რაც უზრუნველყოფს ორივე ინსტიტუციის რეგულაციების და პრაქტიკის ჰარმონიზაციას, რაც განაპირობებს პროგრამის (მათ შორის კვლევითი კომპონენტის) ეფექტურ ერთობლივ განხორციელებას.
დასასრულს, ძალიან დიდ მადლობას ვუხდით ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისა და პროგრამის შეფასებისთვის."

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, მაქსიმ იავიჩმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს მე-2 და მე-4 სწავლის შედეგების დაკორექტირების რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას არ დაეთანხმა, თუმცა ქართულენოვან თარგმანში სწავლის შედეგები შეცვალა. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი დაინტერესდა, რა გახდა ცვლილებების განხორციელების საფუძველი. ამასთან, მან დასვა კითხვა, როგორ უზრუნველყოფს დაწესებულება აღნიშნული სწავლის შედეგების გაზომვას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ ჩხაიძემ განმარტა, რომ საკითხი უკავშირდებოდა ქართულ და ინგლისურ ტექსტებს შორის არსებულ თარგმანის უზუსტობას. მისი თქმით, დაწესებულების პოზიციაში სწორედ აღნიშნული გარემოება იყო მითითებული. ამასთან, დაწესებულებამ გაიზიარა რეკომენდაციის შინაარსი და მე-2 და მე-4 სწავლის შედეგები უფრო გაზომვადი ფორმით ჩამოაყალიბა. მისივე განმარტებით, თითოეული სწავლის შედეგი ჩაშლილია შესრულების ინდიკატორებად, რაც უფრო მეტად აკონკრეტებს შედეგის შინაარსს და ამარტივებს მისი შეფასების პროცესს. აღნიშნულ ინდიკატორებს თან ახლავს შესაბამისი შეფასების რუბრიკებიც. მარიამ ჩხაიძემ ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია ითვალისწინებდა თითოეული სწავლის შედეგისთვის ცალკეული რუბრიკის შემუშავებას და დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას იზიარებს.

მაქსიმ იავიჩმა ასევე ისაუბრა 1.4 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციაზე, რომლის თანახმადაც პროგრამას სავალდებულო სახით უნდა დაემატოს შემდეგი თემები: კიბერდანაშაული, კიბერპოლიტიკა და გლობალური კიბერუსაფრთხოების მართვა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას არ ეთანხმება და მიუთითებს, რომ პროგრამაში წარმოდგენილია როგორც არჩევითი, ისე სავალდებულო სასწავლო კურსები. სავალდებულო სასწავლო კურსებს შორის არის კურსი „ციფრული ექსპერტიზა და პროგნოზირებადი ანალიტიკა“. მაქსიმ იავიჩის შეფასებით, აღნიშნული კურსის ფარგლებში შესაძლოა იფარებოდეს კიბერდანაშაულის საკითხები, თუმცა იგი დაინტერესდა, რის საფუძველზე მიიჩნევს დაწესებულება, რომ ამავე კურსით იფარება კიბერპოლიტიკისა და გლობალური კიბერუსაფრთხოების მართვის თემებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა, იოსებ ქართველიშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული თემები პროგრამაში წარმოდგენილია როგორც არჩევითი სასწავლო კურსების, ისე ძირითადი კომპონენტების ფარგლებში. მისი თქმით, დაწესებულება მაქსიმალურად ეცადა, პროგრამაში

სრულყოფილად წარმოეჩინა კიბერუსაფრთხოების ძირითადი საკითხები. მან აღნიშნა, რომ შესაძლოა აღნიშნული თემები სრულად არ იფარებოდეს, თუმცა პროგრამაში წარმოდგენილია ის საკითხები, რომლებიც აქტუალურია კიბერუსაფრთხოების მიმართულებით.

მაქსიმ იავიჩმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის გაძლიერებასთან დაკავშირებული რეკომენდაციის საფუძვლების შესახებ. იგი დაინტერესდა, რა გარემოებებმა განაპირობა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემა.

ექსპერტმა, ლია კურტანიძემ განმარტა რომ პერსონალთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კიბერუსაფრთხოების მიმართულებით სპეციალისტი მხოლოდ ორი პირი იყო. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის გაძლიერების შესახებ.

სეიფედინ კადრიმ ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო პერსონალის CV-ებს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ კიბერუსაფრთხოების მიმართულებით სპეციალიზებული იყო მხოლოდ ორი წარმომადგენელი. დანარჩენ პერსონალს ჰქონდა გარკვეული ტექნიკური გამოცდილება კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით, თუმცა არა უშუალოდ კიბერუსაფრთხოების სფეროში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:26
დასრულების დრო: 15:33

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ბრიტანული უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების" ინგლისურენოვანი ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - 2032 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბრიტანული უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების" ინგლისურენოვან ერთობლივ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2032 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

1. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები.
2. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.
3. დაწესებულების მიერ გასათვალისწინებელი იქნება ასევე, საბჭოს მიერ განხორციელებული ცვლილებები აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებსა და რჩევებში.
4. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 15:34 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე